ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5479854

ნომერი: AR1833382

თარიღი : 21.06.2021

გაცემის თარიღი : 30.06.2021

გაცნობის თარიღი : 30.06.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 90;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 21 ივნისს №AR1833382 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, №01.72.14.038.424 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (“ბ” და “ც” ბლოკი) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2018 წლის 8 იანვრის №3765067 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 8 იანვრიდან 2022 წლის 8 იანვრის ჩათვლით.

სამსახურის 2018 წლის 25 დეკემბრის №4318573 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ საერთო, საცხოვრებელ და ავტოსადგომის (შიდა) ფართობებთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 387.5 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა წარმოდგენილი ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი შეადარა სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე დატანილ ღია ავტოსადგომებს და დაადგინა, რომ გენ-გეგმაზე ღია ავტოსადგომების ფართობები არ იყო დატანილი და არც ღია ავტოსადგომების ფართობები იყო ასახული ბრძანებაში.

სამსახურმა, ასევე დაადგინა, რომ გენ-გეგმა არ იცვლება, უბრალოდ გენ-გეგმაზე ხდება “ბ” და “ც” ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომების ფართობების და მათი ჯამური მაჩვენებლის დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე “ბ” და “ც” ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 387.5 კვ.მ.
2. სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი შესწორებული გენ-გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3654260 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.